



ცესკო

სამართლის საარჩევნო
ადმინისტრაცია



ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და
აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთათვის საარჩევნო
პროცესების გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული
ღონისძიებების შესახებ

ანგარიში

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
1. წინასაარჩევნო მოსამზადებელი სამუშაოები	6
2. კენჭისყრის დღე	11
3. სტატისტიკა	14

შესავალი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) პრიორიტეტად მიიჩნევს საქართველოს თითოეული მოქალაქის ინფორმირებას და მათ საარჩევნო პროცესებში სრულყოფილად ჩართულობას. 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტს წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა. საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს არაადაპტირებული გარემო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის მნიშვნელოვანი იყო ჰქონოდა სრულყოფილი ინფორმაცია იდენტიფიცირებულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, მიმდინარე წლის 20 თებერვალს, ცესკომ წერილობით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ განმარტებულ იქნა, რომ ცესკოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია შეიცავდა კონფიდენციალურ ინფორმაციას. ცესკოსთვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ რეგიონების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატისტიკური მონაცემები. (იხ. დიაგრამა I, II)

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელდა ცვლილებები, რომლის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტების მიერ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ყველა მაუწყებლის ეთერში განთავსებული იყო სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა)¹. ასევე, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, უზრუნველყო არჩევნებთან დაკავშირებული გადაცემების ეთერში გაშვება სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა)². აღნიშნული ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან წლების მანძილზე სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ინფორმაცია სურდოთარგმანის თანხლებით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მიხედვით, უსინათლო ამომრჩეველს საშუალება ჰქონდა საარჩევნო ბიულეტენის შესავსებად, ფარული კენჭისყრის

¹ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;

² საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 51-ე მუხლის მე-6³ პუნქტი.

კაბინაში დასახმარებლად მიეწვია ნებისმიერი პირი გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა³.

საარჩევნო ადმინისტრაციამ, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, ქ. თბილისის მერიასთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, საარჩევნო უბნების განთავსების მიზნით, უპირატესობა მიანიჭა ისეთ შენობა-ნაგებობებს, სადაც მოწყობილი იყო მუდმივი პანდუსები ან შენობას გააჩნდა მარტივი ადაპტაცია.⁴

2014 წლის არჩევნები აგრეთვე, გამოირჩეოდა იმითაც, რომ ცესკომ განსაზღვრა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსების მიმართულებები⁵, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში. აღნიშნული მიმართულება მოიცავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ასპექტების შესწავლასა და საჭიროებების განსაზღვრას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო⁶.

წელს, ცესკოს ადმინისტრაციული შენობის ადაპტირებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ განხორციელებული საქმიანობისთვის გადაეცა „მწვანე პანდუსის“ სერტიფიკატი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებში, საარჩევნო უფლების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული, უსინათლო) არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების მიზნით განისაზღვრა ორი მიმართულება:

³ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴ აღნიშნული კანონი ამოქმედდება სრულყოფილად 2016 წლის მორიგი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის დღიდან;

⁵ ცესკოს 2014 წლის 14 თებერვლის №13/2014 განკარგულება;

<http://www.cesko.ge/uploads/other/26/26676.pdf>

⁶ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის „ა.გ.“ ქვეპუნქტი

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;
2. კენჭისყრის დღეს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა (წინასაარჩევნო პერიოდი)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს 2006 წლის კონვენციის სახელმძღვანელოს მე-3 მუხლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრულყოფილი ჩართვა და მონაწილეობა საზოგადოებაში. კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის საარჩევნო პროცესებში მათი სრულყოფილად ჩართვის მიზნით, ცესკომ უზრუნველყო ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

1.1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობისა და გააქტიურების მიზნით, ცესკომ უზრუნველყო, საიმიჯო/საინფორმაციო ვიდეო რგოლის დამზადება, რომელიც განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, მეორე არხის, ტელეკომპანია "იმედი"-ს, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის, ტელეკომპანია "მაცსტრო"-ს, ტელეკომპანია "კავკასიის", ტელეკომპანია "ტაბულა"-ს, ტელეკომპანია "პალიტრა TV"-ის, ტელეკომპანია "აჭარის", ასევე 24 რეგიონალური ტელეკომპანიისა და რადიოს ეთერში.

ცესკომ არჩევნებისთვის დაამზადა 10 საიმიჯო/საინფორმაციო რგოლი სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). სარეკლამო რგოლები განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, მეორე არხისა და 24 რეგიონალური ტელევიზიის ეთერში. საზოგადოებრივ მაუწყებელზე, საარჩევნო სუბიექტებს შორის გაიმართა დებატები პირდაპირ ეთერში, რომელიც გაშუქდა სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო კულტურის ამაღლებისა და არჩევნებში მათი სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების მიზნით, ცესკომ, ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია განახორციელა. გაიმართა შეხვედრები სპეციალიზირებული პროფილის, 202-ე უსინათლო და 203-ე სმენადაქვეითებულ საჯარო სკოლებში იმ მოსწავლეებთან, რომლებიც პირველად იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას. უსინათლო და სმენადაქვეითებულმა მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია თუ როგორ და რა საშუალებებით შეეძლოთ საკუთარი არჩევანის დამოუკიდებლად გაკეთება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისადმი სოლიდარობა ახალგაზრდების სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერების კუთხით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობის საუკეთესო საშუალებაა. ეს თავისთავად დადებით ზეგავლენას ახდენს თანაბარი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობაზე. სწორედ ამ მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თავისუფალ უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტში გაიმართა სემინარები სტუდენტებთან, სადაც მოეწყო იმიტირებული კენჭისყრის პროცედურები სტუდენტების მონაწილეობით. სტუდენტებმა განასახიერეს ეტლით მოსარგებლე და უსინათლო ამომრჩეველები. სემინარზე კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული თუ რამდენად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობა და მათი ინტეგრირება საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ცესკომ, არასამთავრობო ორგანიზაციასთან „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ თანამშრომლობით, გამართა აქცია „მე მივდივარ არჩევნებზე“. აქციის მიზანი იყო საარჩევნო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობით, მოქალაქეთა გააქტიურება. აქციაში მონაწილეობდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები, სტუდენტები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. აქციის მონაწილეები მოქალაქეებს მოუწოდებდნენ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისკენ. ღონისძიებაზე დარიგდა ფლაერები, რომელშიც აღწერილი იყო კენჭისყრის დღის პროცედურები.

ცესკოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.cesko.ge) ბანერში, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები“, განთავსდა ინფორმაცია, მათი საარჩევნო უფლებების, საკანონმდებლო რეგულაციებისა და ცესკოს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

ასევე, სიახლე იყო ცესკოს ოფიციალურ ვებ გვერდზე „საარჩევნო რუკა“, სადაც ყველა მოქალაქეს საშუალება ჰქონდა მიეღო დეტალური ინფორმაცია 73 მუდმივმოქმედ საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის ადაპტირებული 464 საარჩევნო უბნის შესახებ. (იხ. დიაგრამა III)

1.2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საქართველოს მასშტაბით, 3637 საარჩევნო უბნის მიხედვით, საარჩევნო საქმიანობას წარმართავდა 47 148 საარჩევნო კომისიის წევრი. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩაუტარდათ ინტენსიური ტრენინგები. მათ შორის, წინა არჩევნების მსგავსად, ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ. ტრენინგის ჩატარება უზრუნველყო ცესკოსთან არსებულმა სსიპ-საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა. ინსტრუქცია შემუშავდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით.

1.3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება

გაეროს 2006 წლის კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია დაცული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ჩართულობა და სრული ინტეგრაციის პირობების შექმნა. ამით მათ შესაძლებლობა ეძლევათ იცხოვრონ საკუთარი შრომით. ცესკოს კონტაქტ-ცენტრში დასაქმდა 4 პირი, რომლებმაც მოახდინეს დაინტერესებულ პირთა ინფორმირება, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ცესკო 2012 წლიდან ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმებას.

1.4. საარჩევნო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების ინტეგრაციის ხელშეწყობა

საარჩევნო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო პროცესში ჩართულობის მიმართულებით საარჩევნო გარემოს სიტუაციურ შესწავლასა და ანალიზს, არჩევნებთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობისა და საარჩევნო პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო ან სხვა ფორმატის ღონისძიებების განხორციელებას. ასევე, საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირებას. კერძოდ:

I. „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ახალგაზრდების საარჩევნო უფლებების დაცვა რეგიონებში“ მიზანს წარმოადგენდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ახალგაზრდების გააქტიურება სამოქალაქო უფლებებისა და საარჩევნო პროცესებში სრულფასოვანი ჩართულობისათვის. პროექტის ფარგლებში, ამომრჩევლებთან, ჩატარდა საინფორმაციო-საგანამანათლებლო სემინარები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (რუსთავი, მარნეული, გორი, ახალციხე, თელავი, ლაგოდეხი, ბათუმი, ქუთაისი, საჩხერე, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ფოთი, სენაკი და ზუგდიდი). ასევე, გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ქ. თელავის, ქ. გორის, ქ. ახალციხის, ქ. ქუთაისის, ქ. ზუგდიდისა და ქ. ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან თემაზე: „სტუდენტების როლი და ინიციატივები თანაბარი არჩევნების უზრუნველყოფისთვის“.

II. „სოციალური დაცვის ლიგა“-ს პროექტის „2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის ზრდა და ამომრჩეველთა ინფორმირება ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ www.pandusgeorgia.com-ის დახმარებით“ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მცხოვრებ ეტლით მოსარგებლე პირებს შეუფერხებლად განეხორციელებინათ თავიანთი კონსტიტუციური უფლება და მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში. პროექტის ფარგლებში ვებ-გვერდზე www.pandusgeorgia.com განთავსდა დეტალური ინფორმაცია (ობიექტის სურათი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ვებ-გვერდი, ელ-ფოსტა, პანდუსის დახრა, მოჭიდების ხარისხი, ლიფტი და ა.შ.), როგორც ადაპტირებული შენობა-ნაგებობების ასევე, 47 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი ადაპტირებული 356 საარჩევნო უბნის შესახებ.

III. „საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი“-ს პროექტის მიზანს წარმოადგენს, საქართველოს მასშტაბით კვლევის განხორციელება ამომრჩევლების იმ საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის, რაც გავლენას ახდენს მათ არჩევნებში ჩართულობაზე. პროექტის ფარგლებში იგეგმება ბოლო სამ არჩევნებში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატისტიკის და დინამიკის დამუშავება. ასევე, იგეგმება სამიზნე ჯგუფების (ეტლითმოსარგებლე, უსინათლო, სმენადაქვეითებული და სხვა კატეგორიის ამომრჩევლები) საარჩევნო საჭიროებების დადგენა/იდენტიფიცირება. კვლევის შედეგები, თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყურადღება

გამახვილონ შემდგომში მნიშვნელოვან ინსტიტუციონალურ საკითხებზე. პროექტის ბოლოს მოხდება ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასება/აღწერა.

2. კენჭისყრის დღეს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფა

გაეროს 2006 წლის კონვენციის 29-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისა და საარჩევნო გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ცესკომ განახორციელა სხვადასხვა აქტივობა, კერძოდ:

სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის, იდენტიფიცირებულ 400 საარჩევნო უბანზე გავრცელდა, პორტატული კომპიუტერების გამოყენებით, კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ ცესკოს საინფორმაციო ვიდეო რგოლი სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა), ხოლო თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურისთვის იდენტიფიცირებულ 300 საარჩევნო უბანზე. *(იხ. დიაგრამა IV)*

საქართველოში პირველად, მცირემხედველ ამომრჩევლებს, მიეცათ საშუალება, საარჩევნო უბანზე გამოეყენებინათ სპეციალური გამადიდებელი ხელსაწყო, ლინზის ფურცელი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ხელსაწყო გამოეყენება შეეძლოთ, როგორც მცირემხედველ, ასევე იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც მხედველობის 1% მაინც გააჩნდათ. კენჭისყრის დღეს, 15 ივნისს, ლინზის ფურცელი, გამოიყენა 4284 მცირემხედველმა ამომრჩეველმა, ხოლო არჩევნების მეორე ტურისთვის 801 ამომრჩეველმა. პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით. *(იხ. დიაგრამა V, VI)*

ეტლით მოსარგებლე და ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დამზადდა სპეციალური ხმის მიცემის კაბინები და კაბინის ფეხები, რომლის საშუალებით თითოეულ ოლქს საშუალება ჰქონდა შეეცვალა ჩვეულებრივი კაბინა სპეციალური კაბინით, რომელიც განთავსდა იდენტიფიცირებულ საარჩევნო უბნებზე. *(იხ. დიაგრამა VII)*

ცესკომ უზრუნველყო იმ საარჩევნო უბნებზე 13 პორტატული პანდუსის განთავსება, სადაც ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლების მიერ იყო მოთხოვნილი.

არჩევნების პირველი ტურისთვის 13 პორტატული პანდუსი განთავსდა შემდეგ საარჩევნო უბნებზე:

- ❖ №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის №24-ე და №63-ე უბანზე;
- ❖ №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის №45-ე და №58-ე უბანზე;

- ❖ №9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის №მე-16 და №50-ე უბანზე;
- ❖ №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის №78-ე უბანზე;
- ❖ №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის №47-ე უბანზე;
- ❖ №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის №1 და №103-ე უბანზე;
- ❖ №50 საჩხერის საოლქო საარჩევნო კომისიის №15 უბანზე;
- ❖ 2 პორტატული პანდუსი მობილური ჯგუფებისთვის, რომლებიც კენჭისყრის დღეს ემსახურებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებს.

ხოლო არჩევნების მეორე ტურისთვის განთავსდა შემდეგ საარჩევნო უბნებზე:

- ❖ №3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიის №24-ე და №63-ე უბანზე;
- ❖ №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის №45-ე და №58-ე უბანზე;
- ❖ №8 დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის №45-ე და №58-ე უბანზე;
- ❖ №9 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის №მე-16, №50-ე და №74-ე უბანზე;
- ❖ №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის №78-ე უბანზე;
- ❖ №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის №1 და №103-ე უბანზე.

2.1. კენჭისყრის დღეს მობილური ჯგუფების მომსახურება

საქართველოში საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შენობა-ნაგებობების გარე და შიდა ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების მიხედვით. არსებული ბარიერების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ ახერხებენ საცხოვრებელი სახლებიდან დამოუკიდებლად გადაადგილებას. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, ცესკომ უზრუნველყო კენჭისყრის დღეს, მობილური ჯგუფებისა და ადაპტირებული ტრანსპორტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო უბანამდე გადაადგილება. პროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დამოუკიდებლად მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა.

ქ. თბილისში, შეიქმნა ოთხი მობილური ჯგუფი, ხოლო ქ. რუსთავში, ქ. თელავში, ქ. გორში, ქ. ქუთაისში, ოზურგეთის რაიონში, ქ. ზუგდიდსა და ქ. ბათუმში კი ერთი მობილური ჯგუფი.

აღნიშნული სერვისის მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ:

- ❖ საინფორმაციო სოციალური რგოლის საშუალებით;
- ❖ სოციალური ქსელებისა და სემინარების მეშვეობით;
- ❖ ცესკოსა და კოალიციის კონტაქტ ცენტრის საშუალებით.

მობილური ჯგუფების მომსახურება განხორციელდა კოალიციამ „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების ფარგლებში.


ქ. თელავში, ქ. გორში, ქ. ქუთაისში, ოზურგეთის რაიონში, ქ. ზუგდიდსა და ქ. ბათუმში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა, უზნამდე გადაადგილება მობილური ჯგუფების საშუალებით, განხორციელდა ცესკოსთან არსებული სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრის, ხოლო ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით.

კენჭისყრის დღეს აღნიშნული სერვისით ისარგებლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 88 ამომრჩეველმა. (იხ. დიაგრამა VIII)

3. სტატისტიკა


შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები - სულ 11 234

დიაგრამა I.




შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით

დიაგრამა II.




ქ. თბილისისა და რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობამ შეადგინა - 464 საარჩევნო უბანი.

დიაგრამა III.




შენიშვნა: საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ქ. თბილისისა და რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობამ შეადგინა - 302 საარჩევნო უბანი. ხოლო საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის - 108 საარჩევნო უბანი.




ქ. თბილისისა და რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიებში, განაწილებული პორტატული კომპიუტერების რაოდენობამ შეადგინა - 400 პორტატული კომპიუტერი.

დიაგრამა IV.




შენიშვნა: 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის, სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის 600 საარჩევნო უბანზე, ხოლო საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის 400 საარჩევნო უბნებზე გავრცელდა კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი ვიდეო-რგოლი სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა).




15 ივნისს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4883 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველმა, მათ შორის:

დიაგრამა V.




დიაგრამა VI.

12 ივლისს, არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო 1267 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველმა, მათ შორის:



ქ. თბილისისა და რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიების მიხედვით, საარჩევნო უბნებზე განთავსებული ხმის მიცემის სპეციალური კაბინების რაოდენობამ შეადგინა - 800 კაბინა.


დიაგრამა VII.



შენიშვნა: საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო უბნებზე განთავსებული ხმის მიცემის სპეციალური კაბინების რაოდენობამ შეადგინა - 800. ამავე რაოდენობის კაბინები განაწილდა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის.

კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნებზე მობილური ჯგუფების საშუალებით გადაადგილებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 88 ამომრჩეველი.

დიაგრამა VIII.



შენიშვნა: საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საარჩევნო უბნებზე მობილური ჯგუფების საშუალებით გადაადგილებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა - 79 ამომრჩეველი, ხოლო საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის - 38 ამომრჩეველი.

